სარჩელის (განცხადების) სასამართლოში შეტანისას, სასამართლოს კანცელარია ამოწმებს სარჩელის (განცხადების) ფორმალურ მხარეს და უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში სარჩელის შემტანს აძლევს შესაბამის მითითებებს.

სარჩელის წარმოებაში მიღების ვადაა 5 დღე. თუ აღნიშნულ ვადაში სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინება არ იქნება გამოტანილი, სარჩელი მიღებულად ითვლება.

თუ სარჩელი შეტანილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით ან/და სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი ან/და საქმეში არ არის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, სასამართლოს გამოაქვს განჩინება ხარვეზის შესახებ და მოსარჩელეს უნიშნავს ვადას მის აღმოსაფხვრელად. ხარვეზის აღმოუფხვრის შემთხვევაში სარჩელი მიიღება წარმოებაში.

სამართალწარმოების ენა

სასამართლოებში სამართალწარმოება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ხოლო იმ მოქალაქეებს, რომლებიც არასრულყოფილად ფლობენ ქართულ ენას, მიეჩინებათ თარჯიმანი სახელმწიფოს ხარჯზე.

საქმისწარმოება წარმომადგენლის მეშვეობით

მხარეს შეუძლია საქმე აწარმოოს სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს უფლებას მხარეს, თვითონაც პირადად მიიღოს მონაწილეობა საქმეში.

სასამართლოში მხარის წარმომადგენელი შეიძლება იყოს ადვოკატი, ერთ-ერთი თანამონაწილე დანარჩენ თანამონაწილეთა დავალებით, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოში – სხვა ქმედუნარიანი პირიც

ქმედუუნარო მოქალაქის, აგრეთვე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე მოქალაქის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები, მეურვეები და მზრუნველები, რომლებიც წარუდგენენ სასამართლოს თავიანთი უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტებს. .

წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს კანონის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში. მოქალაქეთა მიერ გაცემული მინდობილობები უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. ადვოკატის უფლებამოსილება დასტურდება შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ უფლებას აძლევს წარმომადგენელს, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სარჩელის აღძვრისა, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა, საარბიტრაჟო წესრიგის გადასახდევინებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან წულის მიღებისა. წარმომადგენლის უფლებამოსილება ამ მუხლში აღნიშნული თითოეული მოქმედების შესრულებისათვის სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში

თბილისის სააპელაციო სასამართლო

თბილისის საოლქო სასამართლო

მარწმუნებელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს თავის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება. ასევე წარმომადგენელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე უარი თქვას თავის უფლებამოსილებაზე. აღნიშნულის თაობაზე უნდა ეცნობოს სასამართლოს და მეორე მხარეს.

თბილისის სარაიონო სასამართლო

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
www.hcoj.gov.ge
gtz
GTZ-Office Tbilisi 41,Shartava Str., 0146, Tbilisi Georgia
Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH
გამოცემულია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების **GTZ** ფინანსური მხარდაჭერით
Herausgeben mit finanzieller Unterstützung der Deutschen Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH
2008©

თუ უფლების სასამართლო წესით დაცვა გარდაუვალია

რომელ სასამართლოს უნდა მივმართოთ
სასამართლო წარმოების სახეები
სააპელაციო და საკასაციო საჩივრების,
შესაგებლის ფორმები
სამართალწარმოების ენა

E-mail council@hcoj.gov.ge

სამოქალაქო უფლებების სასამართლო წესით დაცვა

თუ მიგაჩნიათ, რომ თქვენი სამოქალაქო უფლებები დაირღვა ან სადაოდ იქცა, თქვენ გაქვთ კონსტიტუციით მონიჭებული უფლება, დაიცვათ ისინი სასამართლოს მეშვეობით.

სასამართლოსათვის მიმართვა ხდება სარჩელით, ხოლო რიგ შემთხვევაში – განცხადებით.

რომელ სასამართლოს უნდა მივმართოთ?

საერთო წესის მიხედვით, სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მოპასუხე მხარის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ მოპასუხეს არა აქვს საცხოვრებელი ადგილი, სარჩელი შეტანილ უნდა იქნეს მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით, ხოლო თუ მოპასუხის ადგილსამყოფელიც უცნობია, მაშინ მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ მოპასუხეს საქართველოში არა აქვს საცხოვრებელი ადგილი, მის მიმართ სარჩელი შეიტანება მისი ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით, ხოლო თუ მოთხოვნა უზრუნველყოფილია რაიმე ნივთით, სარჩელი შეიძლება აღიძრას ამ ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით.

თუ მოპასუხე რამოდენიმეა, სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს ერთ-ერთი მათგანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გარდა საერთო წესისა, არსებობს სარჩელის წარდგენის წესები, რომელებიც დავის საგნიდან გამომდინარეობს, კერძოდ:

- ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს ხელშეკრულების შესრულების ადგილას ან სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო
- იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობიდან გამომდინარე სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით
- მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს მამკვიდრებელის გარდაცვალებამდე მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით
- საკუთრების უფლების შესახებ, უძრავ ნივთებთან დაკავშირებულ უფლებაზე, უძრავი ნივთის დაზიანების ან ზარალის ანაზღაურების გამო სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს – ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით
- ოჯახური დავებისას სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს მეუღლეთა ერთობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ სარჩელის შეტანის დროისათვის ასეთი ადგილი არ არსებობს, მაშინ სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ მას არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი საქართველოში, მაშინ საქმეს განიხილავს სასამართლო მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ მოსარჩელესთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რაც აძნელებს მოსარჩელის გამოცხადებას სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საქმე შეიძლება მოსარჩელის თხოვნით გაირჩეს სასამართლოში მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით
- მამობის დადგენასთან დაკავშირებით სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით
- ალიმენტის დაპირებასთან დაკავშირებით სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით
- შვილად აყვანასთან დაკავშირებით სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს მშვილებლების ან გასაშვილებლის ადგილსამყოფელის მიხედვით

თუ საქმე რამოდენიმე სასამართლოს განსჯადია, სასამართლოს არჩევის უფლება ენიჭება მოსარჩელეს.

თუ ერთმნიშვნელოვნად არ არის დადგენილი განსჯადი სასამართლო, მაშინ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმების გზით დაადგინონ სასამართლოს განსჯადობა. შეთანხმება ფორმდება წერილობით.

სასამართლო წარმოების სახეები

სასამართლოში საქმე განიხილება სასარჩელო წარმოებით, უდავო წარმოებით და გამარტივებული წარმოებით.

უდავო წარმოებით განიხილება შემდეგი კატეგორიის საქმეები:

- იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენა
- უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადება
- ქმედუუნაროდ ან შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება
- დაკარგული საწარმდგენლო ფასიან ქაღალდზე ან საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენა
- ქონების უპატრონოდ ცნობა
- შვილად აყვანა
- ბავშვის მიტოვებულად აღიარება

გამარტივებული წარმოებით განიხილება საქმეები:

- ჩეკისა და თამასუქის შესახებ
- გარკვეული ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ
- ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე
- აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ

სასარჩელო წარმოება

სარჩელი (განცხადება) შეიტანება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. თუ სასამართლოს შემადგენლობაში შედის მაგისტრატი მოსამართლე, გარკვეული კატეგორიის საქმეებზე სარჩელი შედის მაგისტრატ მოსამართლესთან. იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე, ყველა სახის სარჩელი შეიტანება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ შემდეგ სამოქალაქო საქმეებს:

- ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 2000 ლარს

? უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეებს, გარდა შვილად აყვანის, აბრეთვე გამარტივებული წესით გადახდის და ქონების უპატრონოდ ცნობის საქმეებისა, თუ მოთხოვნის ან ქონების ღირებულება აღემატება 2000 ლარს

- საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებს, გარდა შვილად აყვანის, მშობლის უფლების ჩამორთმევის, მამობის დადგენის და განქორწინების საქმეებისა, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე

მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ შემდეგ ადმინისტრაციულ საქმეებს:

- სოფლის, თემის, დაბისა და ქალაქის, რომელიც შედის რაიონის შემადგენლობაში, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე გამოტანილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესახებ
- სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხის თაობაზე
- სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის თაობაზე
- საჯარო სამსახურში ზრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავასთან დაკავშირებით
- მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე ბრძანების გამოცემის თაობაზე
- შესაბამისი ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართვის საფუძველზე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ

სარჩელის შეტანის წესი

სარჩელი (განცხადება) შედგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით და როგორც წესი, ნაბეჭდი სახით. აღნიშნული ფორმის მოძიება შესაძლებელია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.hcoj.gov.ge. სარჩელის ფორმათა ასლები ასევე შეგიძლიათ მოიითხოვოთ და მიიღოთ სასამართლოში.

იმ შემთხვევაში, თუ სარჩელი შეაქვს მხარის წარმომადგენელს, სარჩელს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოსარჩელე ვალდებულია სარჩელს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოსარჩელეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია სარჩელთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს სარჩელში. მოსარჩელე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

მოსარჩელე, მისი წარმომადგენელი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს) ვალდებულია, ზუსტად მიუთითოს სარჩელში საკუთარი, მოპასუხის, მოწმის, ასევე სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის მისამართები.

სარჩელს ხელს აწერს მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი. სარჩელის (განცხადების) აღმძვრელ პირს შეუძლია სარჩელის (განცხადების) შეტანისას განაცხადოს, რომ თანახმაა, წერილობითი მასალები მიიღოს ელექტრონული ფოსტით.

E-mail: council@hcoj.gov.ge